https://doi.org/10.52340/PUTK.2023.27.02

პროფესორი ტარიელ ფუტკარაძე დიალექტოლოგიის ინსტიტუტის შესახებ (ჩანაწერების მიხედვით)

TARIEL PUTKARADZE'S REFLECTIONS ON THE INSTITUTE OF DIALECTOLOGY (ACCORDING TO HIS DIARY)

იამზე ვაშაკიძე
კავკასიის უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო

Yamze Vashakidze
University of the Caucasus
Tbilisi, Georgia

ABSTRACT

The notes from Professor Tariel Putkaradze›s diary related to the early years of the Institute of Dialectology are analyzed in the proposed paper.

"Kutaisi Odyssey'… It seems like Kutaisi has become my destiny…", first entry reads (15.11.1992). From his perspective, all chances result from «probable inevitability.» This was exactly the "probable inevitability" that, thirty years ago, Academician Magali Todua, the then-rector of Kutaisi University offered him a position at the Institute of Dialectology that he had founded, on the advice of Academician Ketevan Lomtatidze and Prof. Tedo Uturgaidze. This opportunity "was somewhat of a relief to him, as he had been unemployed for a year" due to the persecution and oppression against supporters of the legitimate government in Tbilisi.

With approval from the academic council, M. Todua appointed T. Putkaradze as the Director of the Institute of Dialectology on November 11, 1992. The scholar claimed that he had unexpectedly discovered himself at the center of science and leading a completely different life—far from politics!" "Following a great deal of hardship and oppression, it was a start toward living life fully", though not without the great pain of being apart from his own family, which is evident throughout the entire diary. As someone with a warrior spirit, he then focused on the positive aspects of being alone. Launching the Institute of Dialectology seemed like a worthwhile endeavor to him. He actually stated that he was meant to undertake and follow through with it.

Tariel Putkaradze devoted a significant portion of his life and career to the Institute of Dialectology. Thirty years ago, the institute, science in general, and the comparatively less hostile environment in Kutaisi protected him from political persecution. Despite the ‹distance in time and space,› his notes, given their significance, invite us to reflect on the initial steps of the Institute of Dialectology and, fundamentally, on the meaning of life and one›s civic duty.

საკვანძო სიტყვები: აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქართველური დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ისტორია, პროფესორ ტარიელ ფუტკარაძის ღვაწლი.
Keywords: Akaki Tsereteli State University, History of the Scientific Research Institute of Kartvelian Dialectology, Professor Tariel Putkaradze›s achievements.

დღევანდელ მნიშვნელოვან თარიღთან დაკავშირებით, აუცილებ-ლად იტყოდა თავის სათქმელს ტარიელ ფუტკარაძე; ამიტომ შევეცადე, მისი ნაფიქრი გამესაჯაროებინა მისივე დღიურის ჩანაწერების მიხედვით, რომლებიც დიალექტოლოგიის ინსტიტუტის პირველ წლებს ეხება.

„ქუთაისური ოდისეა“[1]... ეტყობა დამებედა ქუთაისი...“ (15. XI.1992) – ასე იწყება პირველი ჩანაწერი. ტარიელი ხშირად იტყოდა, რომ ყოველგვარი შემთხვევითობა არის „ალბათობისმიერი აუცილებლობა“; სწორედ ასეთი „ალბათობისმიერი აუცილებლობა“ იყო, რომ 30 წლის წინ, პროფ. თ. უთურგაიძისა და აკად. ქეთევან ლომთათიძის რეკომენდაციით, ქუთაისის უნივერსიტეტის მაშინდელმა რექტორმა – ბ-ნმა მაგალი თოდუამ შესთავაზა მის მიერ დაარსებულ დიალექტოლოგიის ინსტიტუტში მუშაობა. მიუხედავად იმისა, რომ ისევ ყოყმანობდა „აქტიურ პოლიტიკასა და მეცნიერებას შორის“, დასთანხმდა ბ-ნი მაგალის წინადადებას, რადგან „თბილისში კანონიერი ხელისუფლების მომხრეთა დევნა-შევიწროების ფონზე ეს მისთვის, „როგორც ერთი წლის უმუშევრისათვის, გარკვეულწილად ხსნა იყო“ (15 XI. 1992).

1992 წლის 11 ნოემბერს მ. თოდუამ სამეცნიერო საბჭოს დიალექტოლოგიის ინსტიტუტის დირექტორად ტ. ფუტკარაძის კანდიდატურა წარუდგინა. ტარიელი წერს, რომ „უცებ აღმოჩნდა მეცნიერებისა და სულ სხვა (არაპოლიტიკური!) ცხოვრების შუაგულში“; „ეს იყო სავსე ცხოვრების დასაწყისი დევნილობისა და ამდენი ტანჯვა-წვალების შემდეგ“, მაგრამ ამასაც ახლდა „ერთი დიდი ტკივილი“, რომელიც ჩანაწერებს ბოლომდე გასდევს – ოჯახისგან შორს ყოფნა (15.XI.1992). როგორც მებრძოლი ბუნების ადამიანს, ამჯერად სიმარტოვის პოზიტიურ მხარეზე გადააქვს ყურადღება:

„...**ამ სიმარტოვეში შეიძლება ჩავუღრმავდე საკუთარ თავსაც და, რაც მთავარია, მეცნიერებას. ჩემი დაკარგული წლები თუ დრო მეცნიერებისთვის, აქ უნდა აღვიდგინო და ბოლოს და ბოლოს ზერელე, ყველაფერში გაფანტული ჩემში არსებული რომანტიკოსი მეცნიერი უნდა დავაკონკრეტო**...“(30. XI. 1992).

ტარიელ ფუტკარაძე კრიტიკულად აფასებს თავის მანამდე დაწყებულ საქმეებს – ახალციხის უნივერსიტეტში კათედრის დაარსებას, პარლამენტარობას, ბათუმის პრეფექტობას, რომელთათვისაც ცდა არ დაუკლია, თუმცა, როგორც შენიშნავს, მაშინ „ზოგადმა სიტუაციებმა

[1] „ქუთაისური ოდისეა“ ტ. ფუტკარაძის ადრე დაბეჭდილი საგაზეთო პუბლიკაციის სათაურია

...შეუწყვიტა გეგმების განხორციელების პერსპექტივა...“ (20.XI.1992); დიალექტოლოგიის ინსტიტუტის ამოქმედება ახლა მას იმ დიდ საქმედ ესახება, რომელიც „უღირს მსხვერპლად“; წერს, რომ „ეს საქმე მისთვისაა შექმნილი“ და მთელი არსებით განწყობილია ამ საქმის ბოლომდე მისაყვანად.

ცალკე მსჯელობის თემაა **ტარიელ ფუტკარაძისა და მაგალი თოდუას ურთიერთობა**, რამაც მნიშვნელოვნად განსაზღვრა ახალფეხადგმული დიალექტოლოგიის ინსტიტუტის მომავალი. ბ-ნ მაგალის ტარიელი უწოდებს „იშვიათად საინტერესო, მახვილი გონების და დიდბუნებოვან“ პიროვნებას, „იდეის კაცს“, რომელთანაც „თითქმის იდეალური, გახსნილი, კეთილგანწყობილი ურთიერთობა ჰქონდა“; მასთან სიახლოვეს ხსნის იმ ფაქტით, რომ „ორივეს აერთიანებს ერისა და ...საქმის სიყვარული...“, ასევე – მარტოსული ადამიანების სევდაც (21.XII.1992).

ტარიელ ფუტკარაძე აცნობიერებს პასუხისმგებლობას მაგალი თოდუას წინაშე, რომელმაც, დიალექტოლოგიის ინსტიტუტის სახით, თითქოს „თავისი შვილი ჩააბარა“ (15.XI.1992); ეს სტიმულს აძლევს, მაქსიმალურად გამოავლინოს თავისი შესაძლებლობები:

„მთავარია, რომ დიდი სულის პიროვნება ბ-ნი მაგალი თოდუა თავისი მოღვაწეობის გამართლებად ინსტიტუტში ჩემს მიყვანას თვლის და მე ეს მავალებს, მარწმუნებს ჩემს ძალებშიც და მახარებს კიდეც... მე შემიძლია გავაკეთო კარგი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, თუკი საქართველო ისევ სისხლიანად არ აირევა – ესაა ერთადერთი ერისა და ქვეყნის საფრთხე“ (20.XI. 1992).

ბ-ნ მაგალისთან საღამოობით სტუმრობა-საუბარი (რაც იმ პერიოდში თითქმის წესად იქცა) ზოგჯერ მწვავე ხასიათს იღებს, აზრთა სხვადასხვაობის გამო; ტარიელი წერს, რომ ბ-ნი მაგალისგან ბევრ რამეს სწავლობს: „ისეთს, რაც კარგია და ისეთსაც, რაც არ უნდა გააკეთოს“ და ბოლოს მაინც თავს იდანაშულებს, რომ „მკაცრია მის მიმართ“ (7.XII.1993). ამ ჩანაწერების გაცნობისას, უფრო იმ ნაწილში, რომელშიც ბ-ნი მაგალი გამუდმებით მოუწოდებს ტარიელს, „თავი დაანებოს პოლიტიკას“, რომ მას „დიდი მეცნიერული გაქანება აქვს“ და „თითქმის ყოველდღე ენების შესწავლას ჩასჩიჩინებს“, რჩება შთაბეჭდილება, რომ მათი ურთიერთობა ბევრად უფრო მჭიდროა, ვიდრე უფროს-უმცროსი კოლეგების.

ითვალისწინებს რა მაგალი თოდუას ღვაწლს ეროვნული მნიშვნელობის საქმის წამოწყებაში, ტარიელ ფუტკარაძე ლოგიკურად აკეთებს დასკვნას, რომ „თუკი ოდესმე დადგება საკითხი, დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი მაგალი თოდუას სახელობისა უნდა იყოს...“ (22.XII.1992).

ტარიელ ფუტკარაძეს თავის ახალ საქმიანობაში სტიმულს აძლევს **უნივერსიტეტის პროფესურისა და ადმინისტრაციის წარმომადგენელთა მხარდაჭერაც**; ჩანაწერში ვკითხულობთ:

„მარინე ქაცარავა კათედრის გამგეა და უკვე ძალიან ცდილობს სერიოზულად ამომიდგეს გვერდით – მომცა საათები, კათედრაზე აკეთებს ნახევარ შტატს...“ (15.XI.1992); „ავედი კათედრაზე... სიხარულით შემომეგება... კლარა კუბლაშვილი; შემდეგ შემოვიდა მიშა ალავიძეც – ვისაუბრეთ თბილად...“ (16.XI.1992);

„**თემურ ლოლაძემ – ყოფილი მოადგილე – გადმომცა ინსტიტუტის საქმიანი საბუთები... ვესაუბრე კადრების განყოფილების გამგეს, რომელმაც პირადობის მოწმობაც გამიკეთა და, საერთოდ, კეთილგანწყობილია ყველა და მიხარია**“ (17.XI.1992).

იწყება აქტიური ზრუნვა ინსტიტუტზე – დაინტერესება მასთან დაკავშირებული ყველა საკითხით, იქნება ეს ფინანსური თუ წმინდა ტექნიკური ხასიათის:

„**ოთხშაბათსვე დავათვალიერე მომავალი ოფისი. ხუთშაბათს ჩავიბარე ინსტიტუტისთვის განკუთვნილი ოთხი ოთახისა და ჩემი დროებითი საცხოვრებლის – სასტუმროს – გასაღებები და პირველი აგური ამით დაიდო ოფიციალურად... პარასკევს სამსახურში ვიყავი; მინები ჩავასმევინე, მაგიდები, თაროები, სკამები დავადგმევინე. წერილი გავაკეთე ფინანსთა მინისტრის სახელზე...**“ (15.XI.1992).

„**ჩემი მთავარი საქმე – დიალექტოლოგიის სამეცნიერო ინსტიტუტის საკითხი ნელა მიიზლაზნება. ხვალ ეგებ თბილისში გაირკვეს დაფინანსების საკითხი. ფაქტობრივად, უკვე გადაწყდა ერთი ჯგუფის საკითხი. ვეძებთ მაგნიტოფონებსა და კასეტებს. მეორე ჯგუფიც ჩამოყალიბდება და მესამეც, მაგრამ ფინანსურად ჰაერში ვართ გამოკიდული...**“ (1.XII.1992).

ტარიელ ფუტკარაძე ობიექტურად საზღვრავს, რომ როგორც დირექტორს, „ადგილობრივი ხელისუფლების გარეშე ნაბიჯის გადადგმა გაუჭირდება წმინდა ადმინისტრაციულ საქმიანობაში“; ამიტომ, ინსტიტუტის ინტერესებიდან გამომდინარე, ხვდება იმერეთის ზონის მაშინდელ რწმუნებულს – ჯონი ქარჩავას და მისგან იღებს დახმარების პირობას (16.XI.1992). როგორც შემდეგ შენიშნავს, მისმა ვიზიტმა ასევე „სასიკეთოდ შემოაბრუნა“ იმერეთის ზონის რწმუნებულისა და უნივერსიტეტის რექტორის ურთიერთობაც: „მათი მტრობით კი შეიძლებოდა მხოლოდ უნივერსიტეტის და... ინსტიტუტის საქმე გაფუჭებულიყო“ (17.XI.1992). აქ პარალელს გავავლებთ ბ-ნი მაგალი თოდუას სიტყვებთან ტარიელ ფუტკარაძისა და ბ-ნი თემურ შაშიაშვილის ურთიერთობაზეც, რომ მათ, მიუხედავად განსხვავებული პოლიტიკური პლატფორმისა, შესწევდათ უნარი, ერთად მდგარიყვნენ საერთო ეროვნულ საქმეში.

ტარიელ ფუტკარაძის პოზიცია **დიალექტოლოგიის ინსტიტუტის დანიშნულებასა და ამოცანებზე** მკაფიოდ იკვეთება მის გამოსვლაში სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე. ჩანაწერში ვკითულობთ:

„...**მთავარია სხვადასხვა კუთხეებისთვის, სოციალური ფენებისთვის... დამახასიათებელი მეტყველების ნიმუშების შეკრება, ასევე, ქართველ ებრაელთა, სომეხთა, ბერძენთა და სხვათა ქართული და მშობლიური ენების ურთიერთშეღწევადობის ასპექტით მათი მეტყველების, ფოლკლორის შესწავლა. ...გლობალურად ინსტიტუტის ფუნქციონირება რეალურად ახლა იწყება...**“ (15.XI.1992).

ის აცნობიერებს მოსალოდნელ წინააღმდეგობებსაც, რომელთა დაძლევა მოუწევს დასახული მიზნის განსახორციელებლად, მაგრამ, ასევე, თვალნათლივ ხედავს ამ დიდი საქმის სამომავლო კეთილ ნაყოფს, რაც შემოქმედებითად განაწყობს:

„**წინ უდიდესი საქმეა – სიძნელითაც და სარგებლობის მიხედვითაც; რატომღაც ამ საქმის გამართლებაზე ასოციაციით წამომიტივტივდა უზარმაზარი, დედამიწისხელა ფუტკრებიან-ფიჭებიანი თაფლი, რომელსაც ქვევიდან მისდგომია ჩვეულებრივი ზომა-წონის ადამისშვილი, რომლის მიზანია გამოარჩიოს ფიჭ-ფუტკრისგან თაფლი და შთამომავლობას შეუნახოს**...“ (9.XII. 1992).

ცხადია, რომ ცოცხალი მეტყველების ნიმუშებს დროთა განმავლობაში უფრო მეტი ფასი დაედება, როგორც უკვე ისტორიად ქცეულს; ტარიელ ფუტკარაძე ამ მასალას თავიდანვე საზღვრავს დიალექტოლოგიური, ფოლკლორული და ეთნოგრაფიული მიმართულებით შესწავლის ობიექტად და შენიშნავს:

„**ეს იქნება უნიკალური დოკუმენტები 100 წლის შემდეგ – მათ [შთამომავლებს] საშუალება ექნებათ სიღრმეში ჩაიხედონ, თუ როგორი ყოფა-ცხოვრება და ცნობიერება იყო ფართო საზოგადოებაში – ჩვენ მხოლოდ იდეის ადამიანთა ნაშემოქმედარში ვიხედებით; ჩვენი სოფლების კოლორიტი ასეთი აღარ იქნება 50 წლის შემდეგ, თუნდაც 10 წლის შემდეგ...“ (9.XII.1992).**

ტარიელ ფუტკარაძის მაშინდელი ჩვეული პასუხი კითხვაზე: „**როგორ ხარ?“ – „ვცხოვრობ საქართველოსავით**“... ეს ფრაზა მოწმობს იმ არასაკმარის ყოფით პირობებზე, როგორიც მოუწია დიალექტოლოგიის ინსტიტუტის პირველ წლებში. საერთო სიდუხჭირე, რაც ახლდა 90-იანი წლების ქართველი საზოგადოების ცხოვრებას, ბუნებრივია, მის განწყობაზეც აისახება:

„**ხანდახან პესიმისტური ტალღები შემომეპარება. ამ სიცივეში, უბენზინობაში, უფულობაში გამოვა რამე?.. მე კარგი, გიჟი ვარ და არაფერზე არ ვიხევ უკან, მოიძებნება 30-მდე ისეთი კაცი, რომლებიც ამ დაბალ ხელფასზე მთელი დატვირთვით იმუშავებენ – უნდა ვნახო 30 ფანატიკოსი ჩემსავით. ქართული საქმისთვის ასეა საჭირო! ვიპოვი კი? თანაც ამ სიცივეში... ახლა რომ დენი გამოირთოს? ასანთიც კი არა მაქვს!.. სანამ დენია, ჩაი მაინც დავლიო**...“ (30.XI.1992).

საკუთარ თავთან განმარტოებული ფიქრობს ცხოვრების საზრისზე; ხშირად სვამს „მარადიულ“ კითხვას და თავადვე პასუხობს:

„**რა ჯობია დატოვოს ადამიანმა? კონცენტრირებული ენერგია – მეცნიერებაში განივთებული თუ მინდორში დანთებული ცეცხლის სითბოთი გაფანტოს თავისი სიყვარული... ადამიანებში?..**“ (7.XII.1993).

- „**წუთისოფელი ნელ-ნელა ილევა და უცებ მთავრდება... ამ წუთისოფელში გაცემული სითბოც აკეთებს თავის საქმეს, მაგრამ შეიძლება უმჯობესი იყოს**, მისთვის გამოგლეჯილ დროში შეიქმნას რაღაც, რომელიც შთამომავლობას გამოადგება...“ (1.VI.1993).

აქტიურად ემზადება პირველი სესიის ჩასატარებლად; დგამს ინსტიტუტისათვის მნიშვნელოვან ნაბიჯებს, რომ, როგორც თავად წერს, „ქაღალდიდან საქმე გადავიდეს მოძრაობაში“ (17.XI.1993):

„**გუშინ დავამთავრე „დებულებისა“ და „პროგრამა-ინსტრუქციის“ ჩამოყალიბება... შევქმენი ახალი ტერმინი „მომძიებელთა ჯგუფი“ და**

ფაქტობრივად ახალი ტიპის ინსტიტუტში ახალი ტიპის „დებულება“, „პროგრამა-ინსტრუქცია“ და „კონტრაქტის“ ფორმა შევიმუშავე... ეს მაინც დარჩება, სხვა თუ არაფერი...“ (21.XII.1992).

ტარიელ ფუტკარაძისთვის ცხადია, რომ კოლექტივის ერთსულოვნების გარეშე დაწყებული საქმე, როგორი დიდებულიც არ უნდა იყოს, წარმატებით ვერ დაგვირგვინდება. ის დაკვირვებით სწავლობს თანამშრომელთა შესაძლებლობებს; ამ მხრივაც მის ჩანაწერებში პოზიტიური განწყობა იგრძნობა:

„**სამსახურში დამხვდა ჩემი თანამშრომელი რუსუდან კაშია... ვისაუბრეთ, ...კარგი, ჭკვიანი გოგო ჩანს**... (17.XI.1992.);

„**დილით ინსტიტუტში მუშაობის დაწყების მსურველი დათო შავიანიძე (კარგი ბიჭია!) მოვიდა**...“ (22.II.1992);

„**30-ში პირველი დიდი კრება მქონდა ინსტიტუტში. მგონი კარგი კოლექტივი იქმნება...**“ (1.IV.1993).

„**გუშინ ოკრიბაში ვიყავი პირველად. კარგი ჯგუფი შეიკრა აქ: დათო შავიანიძე, დარეჯან ბაკურაძე, რამაზ ხაჭაპურიძე**... (12.IV.1993).

„**...გაკეთდა საქმე და შეიქმნა სვანური ჯგუფი – ნინო ნაკანი, ჩათო გუჯეჯიანი, ზოია შამფრიანი და ციალა გულედანი**“ (25.V.1993)…

ტარიელ ფუტკარაძე განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს **სამეცნიერო მეთოდოლოგიის ჩამოყალიბებას;** სიფრთხილეს იჩენს ჩაწერილ მასალაზე, პირველ რიგში კი, მეგრულ და სვანურ ტესტებზე მუშაობისას. ჩანაწერში ვკითხულობთ:

„**დღეს დიალექტოლოგიის ინსტიტუტის მე-4 შეხვედრა-შეკრება გვქონდა... ჯგუფებთან ერთად შევიმუშავე პირდაპირი თარგმნის ისეთი პრინციპები (ტექნიკური), რომლის დროსაც არც ქართულის ნორმები დაირღვევა და არც დედნის მორფოლოგიური თუ სემანტიკური ნიუანსები დაიკარგება (ეს პრინციპები განსხვავდება როგორც შანიძის... ასევე დანელიას და ცანავას შერეული პრინციპებისგან)... აპრილში ვატარებთ სესიას ამ საკითხების გარშემო**...“ (21.XII.1993).

თანადგომა, მხარდაჭერა და აღიარება განსაკუთრებულ ძალას მატებს დიალექტოლოგიის ინსტიტუტის დირექტორსა და მის თანამშრომლებს, რომ საყოველთაო მძიმე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებაში, ერთად შეეჭიდონ მეცნიერული კვლევის საქმეს; ინსტიტუტის მე-4 შეხვედრის დღესთან დაკავშირებით, ტარიელ ფუტკარაძე წერს:

„**თითქმის ყველა (მოწვეული) საკითხზე მეტად ჩვენზე (დირექტორზე და თანამშრომლებზე) ლაპარაკობდა... იმდენად შთამბეჭდავი იყო შედეგები... გამართლებულია ოჯახთან მოწყვეტით ყოფნაო ამ შედეგებით – მითხრეს ბატონმა მაგალიმ და სხვებმაც**...

ჩვენი ინსტიტუტი ამ ომსა და უბედურებაში მაინც მუშაობს ინტენსიურად და ესაა ჩვენი ბედნიერება... თანამშრომლები ერთმანეთს ჰგვანან იმით, რომ ყველაში ღვთიური ნათელი ფიგურირებს; ამ „გუნდით“ დიდი საქმეების გაკეთება შეიძლება“ (21.XII.1993).

პოზიტიურ განწყობას ამყარებს „რექტორის დახმარებით... დიალექტოლოგიის ინსტიტუტის უნივერსიტეტის დაფინანსებაში შეყვანა“, რამაც ის დახურვას გადაარჩინა (7.XII.1993). ტარიელ ფუტკარაძე

ვერ ფარავს აღტაცებას ამ დიდებული საქმით, რომელზე ზრუნვაშიც ასევე ხედავს საკუთარი თავის გამართლებას და იმედს 90-იანი წლების გაუსაძლის პერიოდში:

„ახლა მე რომ ამას ვწერ, ეტყობა მეც მიხარია... ვინაიდან ეს კარგი და დიდი საქმეა... ამ გზას მაინც ადგას ნათელი და წინსვლა უწერია; აქ მაინც დავიხარჯო, აქ მაინც გავაკეთო ერისთვის რაღაც, რომ ეს ერი „უდაბნოში“ ხეტიალობს ამ პუტჩისტურ-ბანდიტურ-იმპერიული მმართველობის ხელში...“ (21.XII.1993).

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ტარიელ ფუტკარაძემ თავისი მოღვაწეობის მნიშვნელოვანი ნაწილი უძღვნა დიალექტოლოგიის ინსტიტუტს და სწორედ ინსტიტუტმა, ზოგადად, მეცნიერებამ და „ქუთაისურმა ნაკლებაგრესიულმა ვითარებამ“ დაიფარა 30 წლის წინანდელი პოლიტიკური რეპრესიებისგან. მისი ჩანაწერები, მიუხედავად „დროითი და სივრცითი დისტანციისა“, თავისი მნიშვნელოვნებით ისევ დაგვაფიქრებს დიალექტოლოგიის ინსტიტუტის პირველ ნაბიჯებზე, ზოგადად ადამიანის – პიროვნების მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობასა და ცხოვრების საზრისზე.

გამოყენებული წყარო

პროფ. ტარიელ ფუტკარაძის პირადი არქივი: დღიურის ჩანაწერები (1992-1993 წლები).